ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 14 მარტის სხდომის

ოქმი #3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 14 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 38 წევრი, სხდომას ესწრებოდა 34 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ორი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ;
2. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
3. პროფესორების ატესტაციის შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - ორი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ქ-ნ თამარ ჭელიძეს. მან აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს „სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგია სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენებით“ და „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ინგლისური)“ არ გაუვლია რეაკრედიტაცია, არ ჰყოლია სტუდენტი და არსებობდა ავტორიზაციის რეჟიმში. თსუ-ის ავტორიზაციის პროცესში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც დღის წესრიგში დადგა აღნიშნული პროგრამების გაუქმების საკითხი.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: გადაწყვეტილება მკღებულია ერთხმად.

დაადგინეს: გაუქმდეს მაგისტრატურის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

- „სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგია სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენებით“;
- „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ინგლისური)“.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. ცვლილებები პროგრამებში წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. ცვლილებები შეეხო შემდეგ პროგრამებს - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“ (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“ და „ინფორმაციული სისტემები“. ცვლილებების განხორციელების საფუძველია აკადემიური პერსონალის ცვლილება, პროგრამის განვითარება, ოპტიმიზაცია და ტექნიკური უზუსტობის გასწორება (იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ცვლილებები დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 1):

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“ (ინგლისურენოვანი);
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული სისტემები“.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - პროფესორების ატესტაციის შესახებ. საკითხის შესახებ მასალები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა ემსჯელათ საკითხის შესახებ და შენიშვნები გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვეს: პოფესორებმა ა. შენგელაიამ, ნ.შათაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ის, რაც ატესტაციითაა გათვალისწინებული, ფაქტიურად ყოველწლიურად მოწმდება ჩვენს ფაკულტეტზე, როცა ვაჯამებთ პროფესორის მიერ აკადემიური თუ სამეცნიერო ვალდებულებების შესრულებას. მათ შენიშვნებს გამოეხმაურა პროფესორი გ.ღვედაშვილმა. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე ფაქტობრივად ავტომატურად ხდება ატესტაციის პირველი პუნქტის შეფასება. თუმცა სავალდებულო კომპონენტია გასაუბრება. გასაუბრებასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა პროფესორმა დ.ძიძიგურმა. მას არასწორად მიაჩნია საკითხის არსებული სახით ფორმულირება. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ი.ხუციშვილმა, ა.შენგელაიამ, ო.ფურთუხიამ. ა.შენგელაიამ შენიშნა, რომ გასაუბრების კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები საერთოდ არ არის გაწერილი და კარგი იქნება, თუ ნათლად იქნება გაწერილი ატესტაციის წესებში.

შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პროცედურული საკითხები, ასევე გააცნო იმ პროფესორების სია, ვისაც წელს უწევს ატესტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, თსუ წესდების შესაბამისად, რექტორის მიერ შემუშავებული ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობების პროექტის არსებული სახით დამტკიცების საკითხი. პროექტი ითვალისწინებს დაზუსტდეს ფაკულტეტებთან შეთანხმებით და განსახილველად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16, წინააღმდეგი - 5, დანარჩენმა თავი შეიკავა.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ცვლილებებზე გასაუბრების ნაწილში და შემდეგ კენჭი უყარეს პროექტში შემდეგი ცვლილების შეტანას:

> მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „ატესტაციის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მე-2 ეტაპზე (გასაუბრება) შეფასდება პროფესორის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისობა დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან“.

კენჭისყრის შედეგები: წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 1, დანარჩენი მომხრეა.

დაადგინეს: დამტკიცდეს ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობების პროექტი შემდეგი შესწორებით:

> მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „ატესტაციის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მე-2 ეტაპზე (გასაუბრება) შეფასდება პროფესორის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისობა დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან“.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე, მიმდინარე საკითხები:

ა) სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმის დამტკიცება;
ბ) დოქტორანტების თემების/ხელმძღვანელების დამტკიცება.

ა) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ახალი ფორმა. ფორმა შეიმუშავა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და ადრე არსებულთან შედარებით ახლა უფრო მკაფიოდ გაიწერა შეფასების პროცედურა (იხ. დანართი 2).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმის წარმოდგენილი სახით დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმა წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 2).

ბ) ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ბიოლოგიისა და მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების ხელმძღვანელებისა და მათი სადისერტაციო თემების ჩამონათვალი (იხ. დანართი 3).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიოლოგიისა და მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების ხელმძღვანელებისა და მათი სადისერტაციო თემების წარმოდგენილი სახით დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიოლოგიისა და მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების ხელმძღვანელები და სადისერტაციო თემები წარმოდგენილი სახით:

<u>ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა</u>

- დოქტორანტი **ქეთევან გოგიძე**. სადისერტაციო ნაშრომის სათაური „ქრომოსომული პარამეტრებისა და GSTT1, GSTM1 გენების პოლიმორფული ვარიანტების განსაზღვრა ფილტვის ტუბერკულოზის რეზისტენტული და სენსიტიური ფორმების დროს“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თეიმურაზ ლეჟავა - ბიოლოგ.მეცნ. დოქტ., პროფესორი, თსუ და თინათინ ჯოხაძე - ბიოლოგ. მეცნ. დოქტ., ასოც. პროფესორი, თსუ.

- დოქტორანტი **მარიამ ზაკალაშვილი**. სადისერტაციო ნაშრომის სათაური „საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი დაავადების გადამტანი ტკიპების მოლეკულურ-გენეტიკური დახასიათება“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თეიმურაზ ლეჟავა - ბიოლოგ.მეცნ. დოქტ., პროფესორი, თსუ, და მერაბ კეკელიძე - ბიოლოგ.მეცნ. დოქტ., დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ლაბორატორიის, ვირუსოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიისა და გენომის შემსწავლელი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

- დოქტორანტი **ინგა კუპრაძე.** სადისერტაციო ნაშრომის სათაური „ალგეთის ეროვნული პარკის ლიქენების ბიომრავალფეროვნება“; სამეცნიერო ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი მარინე ბოკერია, თსუ.

- დოქტორანტი **მარიამ ბედუკაძე**. სადისერტაციო ნაშრომის სათაური "დღის პეპლების (Lepidoptera) ძირითადი ოჯახების ვერტიკალური განაწილება და პოპულაციებს შორის ფენოტიპური დივერგენცია სიმაღლებრივი სარტყლების მიხედვით"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: მაკა მურვანიძე,პროფ, თსუ, და ლევან მუმლაძე - ბიოლოგ.მეცნ. დოქტ., პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- დოქტორანტი **მაგდა ლუაშვილი.** სადისერტაციო ნაშრომის სათაური „გენომური პარამეტრების შესწავლა კარდიომიოპათიების შემთხვევაში“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თეიმურაზ ლეჟავა - ბიოლოგ.მეცნ. დოქტ., პროფესორი, თსუ, და თამარ ბუაძე - ბიოლოგ.დოქტ., მოწვეული ლექტორი, თსუ.

- დოქტორანტი **სალომე მოსიძე.** სადისერტაციო ნაშრომის სათაური „ეპიგენეტიკური ცვალებადობის შესწავლა ინ ვიტრო ფერტილიზაციამდე (IVF) და ორსულობის დროს“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თეიმურაზ ლეჟავა - ბიოლ. მეცნ. დოქტ., პროფესორი, თსუ, და მაია გაიოზიშვილი - ბიოლ. დოქტ., ასისტენტ პროფესორი, თსუ.

- დოქტორანტი **მარია ჭიჭაშვილი.** სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ფაგოთერაპიის დროს აღმოცენებული ფაგორეზისტენტობის შესწავლა“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნინო ფორაქიშვილი - ბიოლოგ.მეცნ. დოქტ., პროფესორი, თსუ, და ელისაბედ ზალდასტანიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დოქტორი (Doctor rerum naturalium). სსიპ ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, ვირუსოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეც. თანამშრომელი.

- დოქტორანტი **ლუკა ჯანჯღავა.** სადისერტაციო ნაშრომის სათაური "ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივაციის ახალი შესაძლებლობების ძიება და თანამედროვე ტექნოლოგიებით მათი ეფექტურობის შედარებითი შეფასება"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ქუჩუკაშვილი - ბიოლ. დოქტ., ასოც. პროფესორი, თსუ.

- დოქტორანტი **კონსტანტინე ბუჩუკური.** სადისერტაციო ნაშრომის სათაური „მულტიელემენტების შემცველობის მრავალფაქტორული კვლევა მევენახეობის სხვადასხვა ზონებისა და განსხვავებული ტექნოლოგიებით დამზადებულ ღვინოებში ქართული ღვინის "ანაბეჭდის" შესაქმნელად“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: ზურაბ ქუჩუკაშვილი - ბიოლ. დოქტ., ასოც. პროფესორი, თსუ, და თამთა ჭავჭანიძე - ტექნიკის დოქტ., შპს „ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორიის“ ინსტრუმენტული მიმართულების ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

<u>მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა</u>

- დოქტორანტი **თინა მგელაძე.** სადისერტაციო ნაშრომის სათაური „არაპარამეტრული გულოვანი კლასიფიკაცია”; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ელიზბარ ნადარაია. მეორე ხელმძღვანელი ასისტენტი ბესიკ ჩიქვინიძე დარჩეს უცვლელი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი